

ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8

2021 წლის 24 ივნისი

დაბა ხულო

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის საფუძველზე ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ხულოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №21 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ხულოს მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ჯუმბერ დიმიტრაძე

დანართი

ხულოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტი თავი I ხულოს მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
შემოსავლები	12 343 181	13 656 742	15 956 940
გადასახდელები	5 600 664	5 694 141	6 394 200
გრანტები	6 398 870	7 643 484	9 068 740
სხვა შემოსავლები	343 647	319 117	494 000
ხარჯები	7 993 990	9 420 461	9 418 908
მრომის ანაზღაურება	3 715 766	3 867 421	3 998 442
საქონელი და მომსახურება	3 089 858	2 733 844	3 256 504
პროცენტი	0	0	0



სუბსიდიები	3 000	500	0
გრანტები	225 996	223 909	220 000
სოციალური უზრუნველყოფა	567 681	611 509	915 950
სხვა ხარჯები	391 689	1 983 278	1 028 012
საოპერაციო სალდო	4 349 191	4 236 281	6 538 032
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4 582 655	4 121 774	6 583 355
ზრდა (შემცენა)	4 585 615	4 122 405	6 583 355
კლება (გაყიდვა)	2 960	631	0
მთლიანი სალდო	-233 464	114 507	-45 323
ფინანსური აქტივების ცვლილება	-233 464	114 507	-45 323
ზრდა	13 000	114 507	0
ვალუტა, დეპოზიტები	13 000	114 507	0
სესხები	0	0	0
კლება	246 464	0	45 323
ვალუტა, დეპოზიტები	246 464	0	45 323
სესხები	0	0	0
ვალდებულებების ცვლილება	0	0	0
ზრდა	0	0	0
სესხები	0	0	0
კლება	0	0	0
სესხები	0	0	0
ბალანსი	0	0	0

მუხლი 2. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
შემოსულობები	12 346 141	13 657 373	15 956 940
შემოსავლები	12 343 181	13 656 742	15 956 940
არაფინანსური აქტივების კლება	2 960	631	0



ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0	0	0
ვალდებულებების ზრდა	0	0	0
გადასახდელები	12 592 605	13 657 373	16 002 263
ხარჯები	7 993 990	9 420 461	9 418 908
არაფინანსური აქტივების ზრდა	4 585 615	4 122 405	6 583 355
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	13 000	114 507	0
ვალდებულებების კლება	0	0	0
ნაშთის ცვლილება	-246 464	0	-45 323

მუხლი 3. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 15 956 940 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
შემოსულობები	12 346 141	13 657 373	15 956 940
შემოსავლები	12 343 181	13 656 742	15 956 940
გადასახადები	5 600 664	5 694 141	6 394 200
გრანტები	6 398 870	7 643 484	9 068 740
სხვა შემოსავლები	343 647	319 117	494 000
არაფინანსური აქტივების კლება	2 960	631	0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 6 394 200 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გადასახადები	5 600 664	5 694 141	6 394 200
სამემოსავლო გადასახადი	0	0	0
ქონების გადასახადი	3 319 811	3 280 460	3 500 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 001 482	2 951 281	3 494 000
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)			
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	3 793	2 319	1 000
სასოფლო –სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 414	1 532	



არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	313 122	325 328	5 000
სხვა გადასახადები ქონებაზე			
დამატებული ღირებულების გადასახადი	2 280 853	2 413 681	2 894 200

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 9 068 740 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
გრანტები	6 398 870	7 643 484	9 068 740
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები		0	0
უცხო ქვეყნების მთავრობებიდან ან მათი წარმომადგენლობებიდან მიღებული გრანტები			
სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა დონის ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	6 398 870	7 643 484	9 068 740
გათანაბრებითი ტრანსფერი			
სპეციალური ტრანსფერი	2 300 000	2 810 000	2 000 000
მიზნობრივი ტრანსფერი			
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	2 738 416	2 322 506	6 128 740
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	430 203	2 025 016	940 000
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა)	930 251	485 962	0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 494 000 ლარის ოდენობით;

დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	343 647	319 117	494 000
შემოსავლები საკუთრებიდან	257 985	225 548	435 000
პროცენტები	131 595	109 613	220 000
დივიდენდები			



რენტა	126 390	115 935	215 000
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	119 214	107 534	215 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	7 176	8 401	
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა			
საქონლის დამოსახურების რეალიზაცია	32 441	21 134	29 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	32 441	21 134	29 000
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი			
სანებართვო მოსაკრებელი	28 369	19 017	25 000
სახელმწიფო ბაჟი			
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	23		
სატენდერო მოსაკრებელი			
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი		10	
სათამაშო ბიზნესისი მოსაკრებელი			
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არიალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი			
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის			
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	4 049	2 107	4 000
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი			
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	0	0	0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან			
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	0		
ჯარიმები, სანქციები და საურავები	27 759	22 630	20 000
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	0	0	
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	25 462	49 805	10 000

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9 418 908 ლარის ოდენობით;

ხარჯების				
-----------------	--	--	--	--



ეკონომიკური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
2	ხარჯები	7 993 990	9 420 461	9 418 908
21	შრომის ანაზღაურება	3 715 766	3 867 421	3 998 442
22	საქონელი და მომსახურება	3 089 858	2 733 844	3 256 504
25	სუბსიდიები	3 000	500	0
26	გრანტი	225 996	223 909	220 000
27	სოციალური უზრუნველყოფა	567 681	611 509	915 950
28	სხვა ხარჯები	391 689	1 983 278	1 028 012

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 6 583 355 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 6 583 355 ლარის ოდენობით;

პროგრამული კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და ადმინისტრაციული ორგანოების დაფინანსება	115 936	0	39 323
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	4 221 976	3 861 296	6 116 333
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	50 760	0	1 500
05 00	განათლება	50 515	250 505	214 109
06 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	146 428	9 304	210 790
07 00	მოსახლეობის ჯანმთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0	1 300	1 300
	სულ ჯამი	4 585 615	4 122 405	6 583 355

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ათასი ლარის ოდენობით;

დასახელება	2018 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	2 960	631	0
ძირითადი აქტივები	2 915	0	



არაწარმოებული აქტივები	45	631	0
მიწა	45	631	
სხვა ბუნებრივი აქტივები			

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია:
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში 16 002 263 ლარით;

ფუნქციონალური კლასიფიკაციის კოდი	დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 338 195	2 345 605	2 491 023
7011	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 338 195	2 345 605	2 491 023
70111	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 338 195	2 345 605	2 355 700
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0	0	135 323
702	თავდაცვა	4 916	83 145	82 700
7022	სამოქალაქო თავდაცვა	4 916	83 145	82 700
704	ეკონომიკური საქმიანობა	1 083 100	1 524 512	1 958 409
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	69 985	0	0
70421	სოფლის მეურნეობა	69 985	0	0
7045	ტრანსპორტი	1 013 115	1 524 512	1 958 409
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	930 270	1 441 533	1 874 909
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	82 845	82 979	83 500
705	გარემოს დაცვა	350 698	190 420	334 000
7051	ნარჩენების მეგროვება, გადამუშავება და განადგურება	109 200	93 600	184 000
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	241 498	96 820	150 000
706	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4 048 312	3 463 816	5 347 932



7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 414 664	1 261 476	2 934 775
7063	წყალმომარაგება	780 124	391 140	1 485 257
7064	გარე განათება	201 305	176 617	205 000
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	1 652 218	1 634 583	722 900
707	ჯამრთელობის დაცვა	448 499	454 791	788 700
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯამრთელობის დაცვის სფეროში	448 499	454 791	788 700
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 526 435	1 106 771	1 537 190
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	427 068	162 384	482 790
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 094 889	943 388	1 044 400
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	4 478	999	10 000
709	განათლება	2 234 642	2 240 145	2 490 909
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 885 064	1 670 211	1 960 300
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	349 578	569 934	530 609
710	სოციალური დაცვა	544 808	2 133 661	971 400
7107	სოციალური გაუცხოების საკითხი, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	39 238	42 477	52 200
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	505 570	2 091 184	919 200
სულ ბიუჯეტის გადასახდელები		12 579 605	13 542 866	16 002 263

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 45 323 ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 45 323 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 45 323 ლარის ოდენობით.



დასახელება	2019 წლის ფაქტი	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-233 464	-69 626	-45 323
ზრდა	13 000	0	0
ვალუტა, დეპოზიტები	13 000	0	0
სესხები	0	0	0
კლება	246 464	69 626	45 323
ვალუტა, დეპოზიტები	246 464	69 626	45 323
სესხები	0	0	0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 110 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 15. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 01 00)

პროგრამის მიზანი: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა.

პროგრამის აღწერა:

აღნიშნული ხარჯები უზრუნველყოფს სისტემის გამართულ მუშაობას მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის მერიაში. ასევე ფინანსდება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი, კადრების მომზადება-გადამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები, წვევანდელთა ტრანსპორტირება და სხვა.



სარეზერვო ფონდი (პროგრამული კოდი 01 02 01)

პროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსება.

პროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საჭიროების შემთხვევაში გაუთვალისწინებული (სტიქიური მოვლენები და სხვა ფორსმაჟორული სიტუაციები) გადაუდებელი გადასახდელების დაფინანსება.

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი (პროგრამული კოდი 01 02 03)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების დადგენილ ვადებში დაფარვა.

პროგრამის აღწერა:

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გასულ წლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაკავებული ასანაზღაურებელი თანხის დაფარვა.

პრიორიტეტი:

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 02 00);

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება. აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, გარე განათების, გამწვანების, სანიტარული დასუფთავების, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მშენებლობა-რეაბილიტაცია, განხორციელდება კეთილმოწყობითი ღონისძიებები, ასევე არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება.

1.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)

პროგრამის მიზანი:

საგზაო ინფრასტრუქტურის მდგომარეობის გაუმჯობესება და სრულყოფა. გზის გამტარუნარიანობისა და საგზაო უსაფრთხოების გაზრდა, მგზავრობის დროის შემცირება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ინფრასტრუქტურის გზებისა და სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია, მოიალადეთა უფასო ტრანსპორტირება და ხულო-თაგოს ბაგირგზის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მთებზე მოიალადეთა ტრანსპორტირება (პროგრამული კოდი 02 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ფერმერული მეურნეობების (მეცხოველეობის) განვითარების ხელშეწყობა. ალპური რესურსების გამოყენება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებაში.



ქვეპროგრამის აღწერა:

მოსახლეობის ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერია უზუნველყოფს მგზავრთა უფასო ტრანსპორტით მომსახურებას სამთო იალაღებზე იმ პერიოდში, როცა ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი, არ ახორციელებს აღნიშნულ მომსახურებას (ა(ა)იპ ხულოს ავტოსერვისი ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომაზე არ ახორციელებს მგზავრთა მომსახურებას სამთო იალაღებზე). მომსახურება ხორციელდება კურორტ ბეშუმის, მთა ზორტიყელის, მთა ლეკნარის, მთა სარიჩაირის, მთა თეთრობის, მთა ლოდშირის, მთა ჯანჯღნარის, ნათელათი, კუნჭულეთი, ქვაბიჯვარი, ჩიბუნხარი, ვაშლოვანის მთის, დიდაჭარის მთის, ხიხამირის მთის მიმართულებით. ქვეპროგრამა ითვალისწინებს შედგენილი გრაფიკის მიხედვით კვირაში 4-5 და 6 მარშრუტს მთების შესაბამისად.

- **სოფელ დეკანაშვილებში საავტომობილო გზისა და სანიაღვრე არხის მოწყობა (პროგრამული კოდი 02 01 02);**

ქვეპროგრამის მიზანი:

სოფელ დეკანაშვილებში (ეკლანის სასმელი წყლის ავზის მიმდებარე ტერიტორია) საავტომობილო გზისა და სანიაღვრე არხის მოწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

სოფელ დეკანაშვილებში ეკლანის სასმელი წყლის ავზის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საავტომობილო გზა, რომლითაც სარგებლობს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არის დაზიანებული, ჭირს გადაადგილება და საჭიროებს გზისა და სანიაღვრე არხის აუცილებელ მოწყობას. შედეგად მოსახლეობას შეეძლება შეუფერხებელი გადაადგილება, როგორც ტრანსპორტით ასევე ქვეითად.

- **მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების პრობლემატური მონაკვეთების მოსაწყობად მზა ბეტონის შესყიდვა (პროგრამული კოდი 02 01 03);**

ქვეპროგრამის მიზანი:

ცალკეულ უბნებში გზების და ქუჩების რეაბილიტაცია, ბეტონის საფარის დაგება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში მრავლად არის შიდა სასოფლო გზებზე ისეთი მონაკვეთები, სადაც ავტომანქანით მისვლა ჭირს და მოსახლეობას ხშირად უხდებათ ფეხით გადაადგილება და ტვირთის ხელით გადაზიდვა. პრობლემის ნაწილობრივ მოსაგვარებლად იქ, სადაც უფრო მეტად პრობლემატური მონაკვეთებია დაგეგმილია ბეტონის საფარის მოწყობა, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტში არსებულ თითქმის ყველა სოფელს. დაგეგმილია დაახლოებით 8000 კუბური მეტრის სასაქონლო ბეტონის შეტანა სხვადასხვა სოფლებში, რომლითაც მოეწყობა 24500 გრძივი მეტრი გზა.

- **მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები ა(ა)იპ „ხულო-თაგოს ბაგირგზა“ (პროგრამული კოდი 02 01 06);**

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის ხელმისაწვდომი და მოსახერხებელი საბაგრო გზის შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამოირჩევა თავისი რთული რელიეფური მდებარეობით, მათ შორის განსაკუთრებულად დიდ სირთულეს წარმოადგენს სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის დაბა ხულოსთან დამაკავშირებელი გზით სარგებლობა, რამაც შექმნა „ხულო-თაგო“-ს სატვირთო-სამგზავრო ბაგირგზის არსებობის აუცილებლობა. აღნიშნული ტრანსპორტი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის. ეს არის სოფლის



მოსახლეობისათვის ყველაზე უფრო მარტივი და ძირითადი დამაკავშირებელი ტრანსპორტი მუნიციპალიტეტთან. ასევე ბაგირგზით სარგებლობს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა, აგრეთვე დიდ მოწონებას და ინტერესს იწვევს ტურისტულ ჯგუფებშიც. ბაგირგზის ექსპლოატაციას და ობიექტის გამართულ მუშაობას უზრუნველყოფს ა(ა)იპ „ხულო-თაგოს“ ბაგირგზა. ბაგირგზის მცირე შემოსავლების გამო მის ფუნქციონირებას ფინანსურად უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტი.

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში მდგრადი კომუნალური ინფრასტრუქტურის შექმნა და განვითარება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაცია, საპროექტო-საკადასტრო სამუშაოები, სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მიმდინარე შეკეთების სამუშაოები.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი :

მუნიციპალიტეტში გარე განათებისა და ელექტროგადამცემი ქსელის გამართული მუშაობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

აღნიშნული ქვეპროგრამით ხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტრო ენერჯის ხარჯის უზრუნველყოფა, რომელიც შედგება 6400 წერტილისაგან სულ 84 დასახლებულ პუნქტში. განხორციელდება იმ დარჩენილი მუნიციპალური ობიექტების გამრიცხველიანება, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის ელექტრო ენერჯით უზრუნველყოფილი.

ასევე აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება სოფელ ბაკოს მთაში ელექტრო გაყვანილობის შიდა ქსელის რეაბილიტაცია და კალოთის მთაში ელექტროგაყვანილობის ქსელის მოწყობა. აღნიშნულ მთებში არსებული ელექტროგადამცემი ქსელები თითქმის მთლიანად მოშლილია და საჭიროების აუცილებელ რეაბილიტაციას.

- ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“ (პროგრამული კოდი 02 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლისა და საკანალიზაციო სისტემების ფუნქციონირება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას წარმოადგენს მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს წყალკანალი“-ს, რომელიც უზრუნველყოფს დაბისა და სოფლების წყალსადენების სათავე-ნაგებობების და მაგისტრალური ქსელის მოვლა-შენახვას, ქლორირებასა და ფილტრაციას. მუნიციპალიტეტში სულ ფუნქციონირებს 28 წყალსადენი. ასევე ახორციელებს დაბის ტერიტორიაზე არსებული საკანალიზაციო სისტემის მოვლა-შენახვას.



- წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის წყალმომარაგების მომსახურების გაუმჯობესება. წყლის სისტემების ფუნქციონერება და გამართული მუშაობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში არსებობს სოფლები, სადაც ჭირს მოსახლეობის სასმელი წყლით სრულად მომარაგება, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული პრობლემის დროულად მოგვარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სოფელ წაბლიანში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ წაბლიანში წყალსადენის სისტემის შიდა გამანაწილებელი ქსელის მოწყობა, სოფელ ლაბაიძეებსა და სტეფანაშვილებში წყალსადენის სისტემის მოწყობა, სოფელ ბელეთის, გელაძეების, კორტოხისა და პაქსაძეების სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, სოფელ ირემაძეების სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ აგარაში (რუსთავის უბანი) სასმელი წყლის რკინაბეტონის რეზერვუარის მოწყობა, სოფელ შურმულისა და თაგოს მოსახლეობისათვის სასმელი წყლის ლითონის გამანაწილებელი რეზერვუარების მოწყობა, სოფელ ქვემო ვაშლოვანში სარწყავი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ დიაკონიძეებში სამელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ სტეფანაშვილებში სასმელი წყლის სისტემის მოწყობა, სოფელ ბაკოს სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია. აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების შემდეგ აქ არსებული მოსახლეობა მომარაგდება უწყვეტი სასმელი წყლით.

ასევე განხორციელდება სასმელი წყლის მიღების შეძენა მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, რომლებსაც არ ააქვთ საშუალება საკუთარი სახსრებით მოახდინონ წყლის გამანაწილებელი რეზერვუარიდან საცხოვრებელ სახლებამდე წყლის მიყვანა.

- საპროექტო, საკადასტრო აზომვები, საექსპერტო მომსახურება და ესკიზური ნახაზები (პროგრამული კოდი 02 02 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, ესკიზური ნახაზების მომზადება და ქონების აღრიცხვასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საჯარო რეესტრში მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დასარეგისტრირებელი შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების საკადასტრო აზომვითი სამუშაოების განხორციელება, ასევე მიმდინარე და შემდგომი წლების პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და ესკიზური ნახაზების შედგენა.

- სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

გამართული სანიაღვრე სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო ინფრასტრუქტურის დაცვას და მოვარდნილი ჭარბი წყლების გატარებას.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სანიაღვრე არხებისა და წყალგამტარების მოწყობა მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში შიდა გზების იმ მონაკვეთებზე, სადაც წვიმისა და თოვლის დნობის შედეგად ხშირად ზიანდება გზის სავალი ნაწილი, რაც შემდგომ აფერხებს მოსახლეობის, როგორც ავტომანქანით, ასევე ფეხით გადაადგილების შესაძლებლობას. აღნიშნული ქვეპროგრამის განხორციელების შემდეგ გზის სავალი ნაწილი დაკული იქნება დაზიანებისაგან და მოსახლეობას



მიეცემა შეუფერხებელი გადაადგილების საშუალება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში ღია და დახურული ტიპის სანიაღვრე არხების და წყალგამტარი მილების (მილხიდი) მოწყობა.

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 02 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-შენახვა და მიმდინარე რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

დაგეგმილი სამუშაოებით გათვალისწინებულია სიძველის გამო, ზამთრის შედეგად ან/და სხვა მიზეზებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე და მის მიმდებარე ტერიტორიებზე წარმოქმნილი დაზიანებების აღმოფხვრა. სამუშაოები ითვალისწინებს ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთებას. სულ განხორციელდება 8-10-მდე სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენა-შეკეთება.

1.3 კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა, ასევე მუნიციპალური ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- მუნიციპალიტეტში სკვერების, ქუჩებისა და ფასადების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემატური უბნების (სკვერები, ქუჩები ფასადები) გამაგრება-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფერდსამაგრი სამუშაოები იმ უბნებში სადაც ყველაზე უფრო მეტად იქმნება მეწყრული პროცესების საშიშროება. სულ განხორციელდება დაახლოებით 40-45 ლოკაციაზე ფერდსამაგრი სამუშაო.

დაგეგმილია დაბა ხულოში დავით მამულაძის ქუჩაზე საყრდენი კედლისა და სავალი ბილიკის მოწყობის (მეორე ეტაპი) სამუშაოები. ეს ქუჩა არის მთავარი გამტარი, როგორც დაბის ტერიტორიაზე ასევე მიმდებარე სოფლებში მიმავალი ავტომანქანებისათვის და სხვა ალტერნატივა თითქმის არა აქვს, ხოლო აქ არსებული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა ვერ იძლევა უსაფრთხო გადაადგილების საშუალებას. აღნიშნული სამუშაოს განხორციელება ხელს შეუწყობს, როგორც ტრანსპორტით, ასევე ქვეითად მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას და მიმდებარე ტერიტორიის გამაგრებას.

დაგეგმილია სოფელ ქვემო ვაშლოვანში სოციალური სახლის მიმდებარედ საყრდენი კედლის მოწყობა - აღნიშნულ ტერიტორიაზე მდებარეობს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, რომლის მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება ქვედა საყრდენი კედლის და ეზოს კეთილმოწყობა.



ასევე დაგეგმილია სატბაოში ფანჩატურებისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

- მუნიციპალური შენობა-ნაგებობის მშენებლობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალი და არსებული მუნიციპალური შენობა-ნაგებობების მშენებლობა, რეკონსტრუქცია-რემონტი.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დიდაჭარაში ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა (ორწლიანი პროექტი 2020-2021წ), სოფელ პაქსამეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, სოფელ გელაძეების ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა, სოფელ ზედა ვაშლოვანში სოფლის სახლის მშენებლობა, სოფელ შურმულში სოფლის სახლის რეაბილიტაცია. აღნიშნული შენობების მშენებლობით სოფლის მოსახლეობას მიეცემა კულტურული თუ სხვა აქტივობებისათვის განსახორციელებელი თავშეყრის კომფორტული გარემო.

დაგეგმილია ხულო-თაგოს ბაგირგზის სადგურის რეაბილიტაცია. აღნიშნული ობიექტი თავისი სტრატეგიული დანიშნულებიდან გამომდინარე ერთერთი ძირითადი სატრანსპორტო საშუალებაა სოფელ თაგოს მოსახლეობისათვის და მიმდებარე სოფლებისათვის, ასევე დიდი მოწონებით სარგებლობს ტურისტულ ნაკადებში. ობიექტს დიდი ხანია არ ჩატარებია სარეაბილიტაციო სამუშაოები, რის გამოც მიმდინარე ეტაპზე საჭიროებს აუცილებელი სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

დაგეგმილია საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა. აღნიშნული ობიექტის მშენებლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, რადგანაც დღეს არსებული შენობები ვერ აკმაყოფილებს ყველა იმ საჭირო და აუცილებელ პირობებს რაც ესაჭიროება როგორც საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის ასევე გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ცენტრს გამართული მუშაობისათვის.

ასევე დაგეგმილია შერიფ ხიმშიაშვილის საფლავის მიმდებარედ ფანჩატურის მოწყობა.

პრიორიტეტი:

2.დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება ქვეყნის ერთერთი ძირითადი მიმართულებაა. შესაბამისად ჩვენი მიზანია მუნიციპალიტეტში ყველა გადაწყვეტილებების მიღება ხდებოდეს ეკონომიკური მიზანშეწონილობასთან ერთად ეკოლოგიური ეფექტიანობის გათვალისწინებით. ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა ყურადღება მიექცეს ისეთი პროგრამების განხორციელებას როგორცაა გარემოს დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა, მიუსაფარი ცხოველებისაგან მოსახლეობის დაცვა და სხვა.

2. სანიტარული დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო და ეკოლოგიურად სუფთა სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა. შესაბამისად პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა, შეგროვება, ასევე დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებული საყოფაცხოვრებო



ნარჩენების შეგროვება და ერთად გატანა ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავსაყრელებზე.

- საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვა (პროგრამული კოდი 03 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის გათავისუფლება არსებული საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან. ტენდერში გამარჯვებული კომპანია დაბა ხულოს ტერიტორიაზე არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს, ადმინისტრაციულ ერთეულებიდან გამოტანილ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და კურორტ ბემუმში არსებულ საყოფაცხოვრებო ნარჩენებს გადაიტანს ქალაქ ბათუმში ლეგალურ ნაგავსაყრელებზე. თვეში შესრულდება საშუალოდ 17 რეისი საჭიროებიდან გამომდინარე, ხოლო წლის განმავლობაში 210 რეისამდე.

- ნაგვის კონტეინერების შექმნა (პროგრამული კოდი 03 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და დაცვა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაგვის კონტეინერების შექმნა, რომლითაც ჩანაცვლდება ძველი და დაზიანებული ნაგვის კონტეინერები, რომლებიც განთავსებულია მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სოფლებში და დაბის ტერიტორიაზე.

- მიუსაფარი ცხოველების გაუვნებლობა (პროგრამული კოდი 03 01 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების გაუვნებლობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიუსაფარი და მაწანწალა ცხოველების რაოდენობა ბოლო წლებში მატულობს, რაც საშიში დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიუსაფარი ცხოველების მზრუნველობა და საჭიროების შემთხვევაში გადაყვანა ქალაქ ბათუმში უპატრონო და მაწანწალა ცხოველთა თავშესაფარში, რათა ჩაუტარდეთ შესაბამისი ვაქცინაცია და სხვა საჭირო პროცედურები, რითაც უზრუნველყოფილი იქნება შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება. წლის განმავლობაში განხორციელდება დაახლოებით 200 ერთეულ ცხოველზე შესაბამისი მომსახურეობის გაწევა.

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალური სერვისი (პროგრამული კოდი 03 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური სერვისების გამართული ფუნქციონირება, დაბის ქუჩების დაგვა-დასუფთავება, გარე-განათების მოვლა-პატრონობა, საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა პატრონობა, გზის გაწმენდა ჩამოშლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსება გაეწევა ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“-ს, რომელიც ახორციელებს დაბის ქუჩების ყოველდღიურ დაგვა-დასუფთავებას, სულ 37000 კვ/მ-ზე მეტ ფართობზე.



ხორციელდება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გამოტანა სულ 12 ადმინისტრაციული ერთეული, 83 სოფელი, მათ შორის: რიყეთი, დანისპარაული, შუასოფელი, დიდი რიყეთი, ბოძაური, დიოკნისი, ტაბახმელა, ჯვარიქეთი, მანიაკეთი, ბელეთი, კორტოხი, პაქსაძეები, გელაძეები, ღურტა, იაკობაძეები, ღორჯომელაძეები, ღორჯომი, გორგაძეები, მინთაძეები, ადაძეები, მეკვიძეები, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, მეხალაშვილები, ტუნაძეები, ქურდული, ახალი უბანი, სტეფანაშვილები, წინწყალაშვილები, მერჩხეთი, ჭახაური, ლაბაძეები, აგარა, საციხური, ნამონასტრევი, გელაურა, პანტნარი, დიდაჭარა, ირემაძეები, ბოლაური, გობაძეები, დეკანაშვილები, ზედა დეკანაშვილები, ქედლები, თხილაძირი, განახლება, ელელიძეები, ძირკვაძეები, დიაკონიძეები, გოდგაძეები, უჩხო, გუდასახო, დუაძეები, ოქრუაშვილები, კურცხალი, ქვემო ვაშლოვანი, ზედა ვაშლოვანი, შურმული, სხანდარა, ჩაო, თაგო, ყინჩაური, ჭერი, ძმაგულა, გურძაული, ფაჩხა, წაბლანა, წაბლიანი, კვატია, ფუმრუკაული, რაქვთა, ვერნები, ოშანახევი, მახალაკური, ხიხაძირი, ახალშენი, სკვანა, კალოთა, ნადაბური, ზედა თხილვანა, ქვედა თხილვანა, ბაკო, მთისუბანი.

დღე-ღამის განმავლობაში მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქუჩების განათება, რის უზრუნველსაყოფად ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ „ხულოს მუნიციპალური სერვისი“, რომელიც უზრუნველყოფს გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვას. სულ 13 ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც მთლიანობაში განთავსებულია 7120 გარე განათების ბოძი.

ასევე განახორციელებს დაბასა და ადმინისტრაციული ერთეულებში არსებული საზოგადოებრივი სარგებლობის საპირფარეშოების (სულ 19 ერთეული) პერიოდულ დასუფთავებას და მოვლა-პატრონობას. ხორციელდება ზამთრის პერიოდში გზების, ქუჩების და სკვერების გაწმენდა თოვლის საფარისაგან.

პრიორიტეტი:

3.განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია და არსებული ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

3.1 სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის მიზანი:

სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა.

პროგრამის აღწერა:

ძლიერი და მდგრადი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სისტემის უზრუნველყოფა ხულოს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. სკოლამდელი განათლება ბავშვის აკადემიური და სოციალური განვითარების უმნიშვნელოვანესი საფეხურია. სკოლისათვის და შემდგომი ცხოვრებისათვის მზაობის ხელშეწყობა მრავალმხრივი პროცესია და სკოლამდელი განათლება ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით ბავშვის სრულფასოვნად ჩამოყალიბების მყარ საფუძველს წარმოადგენს. საადმინისტრაციო პროცესის ხარისხიანად მიწოდება მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მუდმივ განახლებას მოითხოვს, რისთვისაც მუნიციპალიტეტი საბავშვო ბაღების გაერთიანებას უზრუნველყოფს შესაბამისი ფინანსური რესურსით. არსებული სიტუაციის ანალიზიდან და მოსახლეობის საჭიროებებიდან გამომდინარე ხულოს მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი, საყოველთაოდ და თანაბრად ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა მოსახლეობისთვის.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01);



ქვეპროგრამის მიზანი:

სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხულოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს ერთ ბაგა-ბაღს და 22 საბავშვო ბაღს, სადაც განათლებას იღებს 790–ზე მეტი სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვი. მუნიციპალიტეტი სრულად აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, უზრუნველყოფს სხვადასხვა ინვენტარით და ტექნიკით, რათა ბავშვებს მიეცეთ ნორმალური და სრულყოფილი განვითარების საშუალება. ასევე მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 4 ალტერნატიული საბავშვო ბაღი - სოფელ თაგოში, გელაძეებში, აგარაში და წაბლანაში, რომლისთვისაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს შრომის ანაზღაურებისა და გათბობის ხარჯების დაფინანსებას.

- სკოლების მშენებლობა–რემონტი (პროგრამული კოდი 04 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

დაწყებითი საბაზო განათლებისათვის საჭირო დაწესებულების ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ ზედა დეკანაშვილებში და სოფელ გურძაულში დაწყებითი სკოლების მშენებლობას. არსებული ობიექტების ინფრასტრუქტურა სრულად მოშლილია და ვერ ხერხდება სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის სრულყოფილად წარმართვა, რამაც შექმნა საჭიროება აღნიშნულ სოფლებში აშენდეს ახალი დაწყებითი სკოლა. შესაბამისად ბავშვებს მიეცემათ საშუალება სრულყოფილ და კომფორტულ გარემოში მიიღონ საბაზო განათლება.

პრიორიტეტი:

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული და სპორტული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებულ ხელოვანთა და სპორტსმენტთა ხელშეწყობას, წახალისებას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა მათ მოახერხონ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა.

4.1 სპორტის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის მიზანი:

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მისი პოპულარიზაცია და სპორტული მიღწევების გაუმჯობესება.

პროგრამის აღწერა:

ხულოს მუნიციპალიტეტი გამორჩეულია სპორტის სფეროში მიღწეული წარმატებებითა და შედეგებით, რაზეც ნათლად მეტყველებს ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მიერ მიღწეული არა ერთი გამარჯვება სპორტის სხვადასხვა სფეროში. მიუხედავად ამისა ამ კუთხით აუცილებელია დამატებითი ღონისძიებების გატარება, რაც კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მიღწეული



შედეგების გაუმჯობესებას. ასევე შესაძლებელს გახდის ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმას სისტემატიურ სპორტულ-გამაჯანსაღებელ აქტივობებში, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდის და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

სასპორტო სკოლის ინფრასტრუქტურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა და სკოლასთან არსებული სპორტული სექციების განვითარების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სასპორტო სკოლის მიმდინარე ხარჯებისა და სხვადასხვა სპორტული ინვენტარით აღჭურვა, რათა მათ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება. სასპორტო სკოლაში მოქმედებს 8 სექცია (ჭიდაობა, ძალოსნობა, კალათბურთი, ჩოგბურთი, სამთო-სათხილამურო, ჭადრაკი, ფრენბურთი, ფიზიკური მომზადება), სადაც სწავლება უფასოა და 380-მდე ბავშვია ჩართული სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

- ა(ა)იპ ხულოს საფეხბურთო კლუბი „ხიხანი“ (პროგრამული კოდი 05 01 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

ბავშვთა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფეხბურთის პოპულარიზაციასა და წარმოჩენას, ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობას, ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენების გამოვლენასა და მომზადებას, რათა მათ შეეძლოთ თავისი შესაძლებლობების შემდგომი განვითარება. სწავლება უფასოა და 60-მდე ბავშვია ჩართული აღნიშნული სპორტული სახეობის განვითარებაში.

- სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტის ცალკეული სახეობების პოპულარიზაცია და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობით ადგილობრივი სპორტსმენების ოსტატობის დონის ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სპორტული და მასობრივი გამაჯანსაღებელი მუშაობის გაუმჯობესებას, ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, სპორტის სხვადასხვა სახეობების შემდგომ განვითარებას და პოპულარიზაციას. მუნიციპალიტეტის სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს მასშტაბით დაგეგმილ სპორტულ ღონისძიებებში, ტურნირებში. ხულოს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებს განსაკუთრებული წარმატებები აქვთ ჭიდაობის სხვადასხვა სახეობაში, (არიან ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონები, ოლიმპიური პრიზიორი და საქართველოს ჩემპიონები სპორტის სხვადასხვა სახეობებში), ვითარდება სათხილამურო სპორტი და ძალოსნობის სხვადასხვა სახეობა. წარმატებული სპორტსმენების წახალისება ხდება სიგელებით, მედლებით, თასებით და ფულადი ჯილდოთი.

- სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 04);

ქვეპროგრამის მიზანი:



მუნიციპალიტეტში სასპორტო ინფრასტრუქტურის განახლება და შექმნა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ოქრუაშვილებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, კურორტ ბემუმში სპორტული მოედნის მშენებლობა, სოფელ მეკვიძეებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სოფელ ელეიძეებში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია და სოფელ შურმულში მინი სპორტულ მოედანზე გარე განათების მოწყობა. აღნიშნული მოედნის ინფრასტრუქტურა მოშლილია, რის გამოც სოფლის ახალგაზრდობა ვერ ახერხებს თავისუფალ დროს დაკავდეს სპორტული აქტივობებით. არსებული სიტუაციიდან გამომდინარე საჭირო გახდა სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაციის ჩატარება, რათა მოზარდ-ახალგაზრდობას მიეცეს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების საშუალება.

4.2. კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამის მიზანი:

ხულოს კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პოპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნისა და კუთხის ტრადიციული დღესასწაულების მხარდაჭერას და პოპულარიზაციას, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზებას. სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დღეების პოპულარიზაციას და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთა პატივის მიგებას. შემოქმედებითი უნარების აღმოჩენასა და წახალისებას. ახალგაზრდების ინტელექტუალური აზროვნების გამოვლენას, კულტურულ-შემოქმედებით საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართულობას, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და ინფორმირებას გენდერული თანასწორობის საკითხებში, შშმ პირების ინტეგრირებას საზოგადოებასთან. პროგრამა ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდების მუსიკალურ-ვოკალურ-ქორეოგრაფიულ განათლებას, როგორც ფოლკლორის, ასევე კლასიკური და თანამედროვე მიმართულებით.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

- ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01);

ქვეპროგრამის მიზანი:

მისცეს მოსწავლეებს სახელოვნებო განათლება, მოამზადოს მოსწავლეები სწავლის გასაგრძელებლად შემდგომ საფეხურზე სახელოვნებო განათლების მიღების მიზნით, ხელოვნების სხვადასხვა დარგებთან ზიარების თანაბარი პირობების შექმნით ხელი შეუწოს პიროვნების ინდივიდუალურ-შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარებას, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას და ამ გზით მის შენარჩუნებას, გარე სამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას. განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების წარმოჩენა-გამოვლენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში ბავშვები მიიღებიან 6 წლის ასაკიდან. სკოლაში არის ორი განყოფილება-სამუსიკო და სამხატვრო. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად შეისწავლონ მათთვის სასურველ მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრა - სალამური, დოლი, ფანდური, ბასფანდური, პიანინო, გიტარა და კლასიკური ფანდური. სწავლება 6 წლიანია. სკოლას ჰყავს ფოლკლორული ანსამბლი - „ციცინათელა“ და ანიმაციური ფილმების სტუდია. ასევე ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ქვეყნის



ღირსშესანიშნავი თარიღების დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში მონაწილეობა. ადგილობრივი მოსახლეობისა თუ სტუმრებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის (კლასიკური მუსიკა, ფოლკლორი) შეთავაზება. მნიშვნელოვანია ა(ა)იპ ხულოს სახელოვნებო სკოლაში სამემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება (კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, გასტროლებში მონაწილეობა და სხვა მოტივაცია). სკოლაში სწავლობს 84 მოსწავლემდე.

- ა(ა)იპ ხულოს კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02);

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების, სტრუქტურული ერთეულების სასოფლო კლუბებისა და კულტურის ცენტრების განვითარების ხელშეწყობა, ბიბლიოთეკების შეუფერხებელი ფუნქციონირება, კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებები და მოსწავლე ახალგაზრდობის სასწავლო შემოქმედებითი პროცესის ორგანიზება, მონაწილეობა მუნიციპალურ, რეგიონულ და ტურისტულ ღონისძიებებში.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში ხულოს კულტურის ცენტრთან არსებული მუსიკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლების მეშვეობით ხორციელდება სხვადასხვა კულტურული აქტივობების ორგანიზება, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. ასევე ხორციელდება ადგილობრივი მოსახლეობის, სტუმრებისა და ტურისტებისათვის მრავალფეროვანი სანახაობის შეთავაზება კულტურის ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული და ფორკლორული ანსამბლების მეშვეობით. განსაკუთრებით დიდი მოწონებით სარებლობს ფორკლორული ანსამბლები „ბერმუხა“, „ხულო“, „ხიხანი“, „ვერნები“, „სხალთა“, „ვამლოვანი“, „ღორჯომი“, ბავშთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „არგინეთი“, „საციხური“, მუსიკალური ჯგუფი „გოდერძი“, ვაჟთა მუსიკალური ბენდი „დიოკნისი“ და სხვა. მნიშვნელოვანია კულტურის ცენტრში გაერთიანებული სამემსრულებლო კოლექტივების ხელშეწყობა-წახალისება, მათთვის კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კოსტიუმირება, გასტროლების დაგეგმვა და სხვა მოტივაცია. სახელოვნებო დარგის ახალგაზრდობთან მჭიდრო შემოქმედებითი კონტაქტები. ღვაწლმოსილ მოქალაქეთა (კულტურის მუშაკების, პედაგოგების) განვლილი გზის განზოგადება და დაფასება (იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.). ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ხულოს, როგორც ამ კულტურის ტრადიციის მატარებელი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის გაცნობა ქვეყნის მაშტაბით და ქვეყნის გარეთ სხვადასხვა სახის ღონისძიებების უზრუნველყოფით. საბიბლიოთეკო განყოფილებისათვის ფონდების შევსება და მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 11 სასოფლო, 1 საჯარო და 1 საბავშვო ბიბლიოთეკა. ხულოს კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს მივიწყებული ხალხური რეწვის ტრადიციების შენარჩუნებას მოსწავლე ახალგაზრდობაში და მისი პოპულარიზაციის მიზნით მონაწილეობას ღებულობს სახალხო დღესასწაულებსა და ადგილობრივ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ტურიზმის ხელშეწყობს საერთაშორისო ღონისძიებებში.

- სსიპ ხულოს პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი (პროგრამული კოდი 05 02 03);

ქვეპროგრამის მიზანი:

ხულოს მუნიციპალიტეტში თეატრალური ცხოვრების დონის ამაღლება და წარმოჩენა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ხულოს პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრს არსებობის დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა მისი საკუთარი შემოსავლები იმდენად მცირეა, რომ შეუძლებელია მისი დამოუკიდებლად ფუნქციონირება, ამიტომ მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მის ფინანსურ მხარდაჭერას გრანტის სახით, რათა გააგრძელოს თავისი შემოქმედებითი საქმიანობა, როგორც მუნიციპალიტეტში ასევე ქვეყნის მაშტაბით და მის საზღვრებს გარეთ. თეატრი ახორციელებს წლის განმავლობაში სხვადასხვა სახის სპექტაკლების წარმოდგენას, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების დონის გაჯანსაღებასა და წარმოჩენას.



- კულტურულ ღონისძიებათა მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 02 04);

ქვეპროგრამის მიზანი:

ტრადიციული დღესასწაულის მხარდაჭერა და პოპულარიზაცია, კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული ღონისძიებებისა და ფესტივალების ორგანიზება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნას, ნიჭიერი ახალგაზრდობის გამოვლენას, წარმატებული ახალგაზრდების წახალისებას საჩუქრებით და საინტერესო პროექტების ხელშეწყობას. მუნიციპალიტეტისათვის ტრადიციული ღონისძიებების მათ შორის შუამთობის, ტბელობის, სელიმობის, დიდაჭარობის ორგანიზება-ჩატარებას, რომლის დროსაც იმართება კონცერტები, სპორტული და სხვა შეჯიბრებები. ტარდება სტუდენტებთან და წარჩინებულ მოსწავლეებთან, დამსახურებულ პედაგოგებთან შეხვედრები. თვითშემოქმედი კოლექტივები და კულტურის ცენტრთან არსებული სხვადასხვა ანსამბლები მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა კონკურსებში და ფესტივალებში, როგორც რესპუბლიკურ ასევე საერთაშორისო დონეზე.

- ახალგაზრდობის სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში არსებული ახალგაზრდების სამოქალაქო საქმიანობაში ჩართულობა და ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოზარდებთან მუშაობას, რომლის მიზანია ახალგაზრდებში შემეცნებითი და ინტელექტუალური დონის ამაღლება. აგრეთვე ახალგაზრდების საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართვა და სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება.

- ა(ა)იპ კურორტი ბემუმში (პროგრამული კოდი 05 02 06);

ქვეპროგრამის მიზანი:

კურორტ ბემუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და მისი გაჯანსაღება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს კურორტ ბემუმში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვას, კურორტის ტერიტორიის დასუფთავებას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მომსახურებას, ზამთრის პერიოდში არსებული ინფრასტრუქტურის დაცვას და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

- ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 07);

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურისტულად საინტერესო ადგილების შესწავლა, შემდგომში მათი პოპულარიზაცია და ტურისტების მოზიდვა სხვადასხვა ღონისძიებებისა და აქტივობების მეშვეობით.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხულოს მუნიციპალიტეტში ისტორიული და კულტურული ძეგლების ტურისტებისათვის და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის გაცნობის ხელმისაწვდომობას, ადგილობრივი ტრადიციების, ტრადიციული დღესასწაულების, ზემო აჭარული კერძებისა და ხალხური რეწვის



ნიმუშების პოპულარიზაციას, ტურისტულ სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობას ტურისტების მოზიდვის მიზნით და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას. ქვეპროგრამა მოიცავს ლაშქრობებს, ექსკურსიებს, საერთაშორისო ფესტივალებში მონაწილეობის ორგანიზებას, სარეკლამო ბუკლეტების/ფლაერების დამზადებას. პროგრამის ფარგლებში ხულოს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ საინფორმაციო პორტალზე განთავსდება ინფორმაცია და ფოტომასალა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტურისტული ობიექტების შესახებ. პროგრამის ძირითადი სამიზნე ჯგუფები იქნებიან ტურისტები, სოციალურად დაუცველი და წარჩინებული მოსწავლეები, სტუდენტები, ტურისტული სააგენტოები, გიდები და სხვა.

- გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 08);

ქვეპროგრამის მიზანი:

გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამით განხორციელდება ქალთა მეტი ჩართულობა ადგილობრივი თვითმართვულობის პროცესში. დაგეგმილია ტრენინგებისა და სემინარების ჩატარება გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით, ასევე განხორციელდება მუნიციპალიტეტის სოფლებში გასვლითი შეხვედრების ჩატარება.

პრიორიტეტი:

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მოსახლეობის დაცვას სხვადასხვა დაავადებებისაგან. ასევე მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას.

5.1 ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის მიზანი:

მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამა ითვალისწინებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას ამბულატორიულად, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ჯანმრთელობის გაუმჯობესებას და განმტკიცებას.

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ქვეპროგრამები:

